

## ვაჟა დანელია

### სპორტთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის მართლწერისათვის ქართულში

სპორტი, როგორც 21-ე საუკუნის სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად იქცა. დღევანდელი სპორტი – ეს არის გლობალური ბიზნესი, თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკის, პოლიტიკისა თუ კულტურის მოდელი.

სპორტი მუდმივად ვითარდება, ჩნდება ახალი სახეობები, იქმნება ახალი სიტყვები – ტერმინები, სიტყვათშეხამებები, ფრაზეოლოგიზმები – ენობრივი ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროსთვის. სასპორტო კონტექსტში ისინი ახალ მნიშვნელობას იძენს.

მედიასფეროს წინა პლანზე წამოწევამ და ყურადღების ცენტრში მოქცევამ, სოციალურმა პროცესებმა წარმოშვა ლინგვისტიკის ახალი სახეობა – მედიალინგვისტიკა, რომელიც, თავის მხრივ, განიცდის დიფერენციაციას. მის წიაღში სულ უფრო ნათლად იკვეთება სასპორტო ლინგვისტიკის კონტურები. საგულისხმოა, რომ სპორტის ენას აქტიურად იყენებენ როგორც სპორტსმენები, მწვრთნელები, პედაგოგები, არბიტრები, სპორტის კომენტატორები და მიმომხილველები (ანუ სპორტის ჟურნალისტები), ასევე – სასპორტო ღონისძიებების მაყურებლებიც. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სპორტის ენა უკვე ერთგვარი ენაა – თავისი ლექსიკითა თუ ტერმინოლოგიით.

ეს მნიშვნელოვანი პროცესები ხელს უწყობს ენის ახალი ასპექტების გამოვლენას, ცნებითი აზროვნებისა და სპორტის ტერმინოლოგიის კორექტირებასა და განახლებას.

ქართული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში დიდი ხანია დამკვიდრდა ტერმინები: **სპორტული სკოლა, სპორტული კლუბი, სპორტული კომპლექსი, სპორტული მოედანი, სპორტული ჟურნალისტი, სპორტული კომენტატორი, სპორტული ჟურნალისტიკა, სპორტული ტერმინოლოგია, სპორტული მედიცინა** და მისთანანი. პირდაპირ შეიძლება თქმა, რომ ეს ტერმინები ამკარად რუსულის

კალკებია (სპორტინაია შკოლა, სპორტინაიი ჟურნალისტ, სპორტინაიი კომენტატორ, სპორტინაია ჟურნალისტისტიკა, სპორტინაია ტერმინოლოგია, სპორტინაია მედიცინა ი თ. პ.) და მათი ამ ფორმით გამოყენება ქართულში უმართებულოდ მიგვაჩნია.

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ 1934 წლის 13 აპრილს გამოცემულ გაზეთ „ლელოს“ წინამორბედ „საქართველოს ფიზკულტურელის“ პირველ ნომერში მხოლოდ „სასპორტო“ ფორმა იხმარება: „მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველ ფიზკულტურელს, მაგარი კუნთების გარდა, უნდა ჰქონდეს ნამდვილი ფიზკულტურული შეხედულება, ე. ი. ის სიჯანსაღის, ლაზათიანობის, სიმტკიცისა და **სასპორტო გაწვრთნილობის** ნიშნში უნდა იყოს“... „წარმოებს სახსრების შეგროვება **სასპორტო ინვენტარის** შესაძენად“... „უკვე დაწყებულია მუშაობა ხულოში და ქედაში **სასპორტო მოედნების** მოსაწყობად“... „ტარდება მოსამზადებელი მუშაობა ქარხნის **სასპორტო მოედნის** მოსაწყობად“ (გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელი“, №1, 1934 წლის 13 აპრილი).

საგულისხმოა, რომ 1935 წლის „საქართველოს ფიზკულტურელის“ სხვადასხვა ნომერში უკვე ორივე ფორმა გვხვდება – როგორც „სასპორტო“, ისე „სპორტ(ი)ული“. მეტი სიხშირით „სასპორტო“ ფორმა გამოიყენება:

„ფიზკულტურის ოსტატებმა ჩვენს ახალგაზრდა ფიზკულტურელებს უნდა გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, მიღწევა და **სპორტიული ჩვევები**“... „ერთ-ერთი მამომრავებელი ბერკეტის როლს უთუოდ **სპორტიული აღმაფრენა** შეასრულებს“... „დაჩქარებით დაძლიონ მათ სიმწელები **სპორტიული ოსტატობისათვის** ბრძოლის გზაზე“... „**სპორტიულ ინტერესს** არ სცილდება“ (№3-4, 29 იანვარი, 1935).

„მოწინავე საწარმოები იძლევიან **სასპორტო მუშაობის** საუკეთესო ნიმუშებს, აყალიბებენ **სასპორტო მიღწევების** მქონე კოლექტივებს“... „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტური ქვეყნების **სასპორტო მიღწევათა** დონეს“ (№13, 1 მაისი, 1935).

„უნდა გავაძლიეროთ ფ.კ. ორგანიზაციების იდეური პოლიტიკური სიმტკიცე და **სასპორტო თეორიული** შეიარაღება“... „დღეს არა აქვთ **სასპორტო დარბაზი**, სავარჯიშო იარაღი“ (№20, 18 ივლისი, 1935).

„სასპორტო დარბაზი კარტოფილის საწყობს უფრო წააგავს, ვიდრე სასპორტო დარბაზს“... „ეს ამბავი ბათომის სასპორტო სტადიონზე ხდება“... (№24, 28 აგვისტო, 1935).

„ამათგან ჯერ კიდევ ყველა არ დაუფლებია სასპორტო საქმეს“ (№35, 24 დეკემბერი, 1935).

„ამით ამალღებული იქნას მათი სპორტული ტექნიკა“... „მიიღონ ზომები ფიზკულტურულ ქალების სასპორტო ინვენტარის უზრუნველსაყოფად“ (№3 (69), 18 იანვარი, 1936); „1936 წლის სასპორტო კალენდარი“...

მომდევნო წლებშიც პარალელურად გამოიყენება სასპორტოცა და სპორტულიც, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ უკვე სპორტული სჭარბობს (სასპორტოს).

1949 წლის 10 ივლისიდან ქართულ სასპორტო ჟურნალისტიკაში იწყება „ლელოს“ ეპოქა. ეს გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელის“ სამართალმემკვიდრეა. მისი პირველი ნომრის გამოსვლას რამდენიმე ცნობილი პიროვნება მიესალმა, მათ შორის – თსუ-ს რექტორი, ერისკაცი ნიკო კეცხოველი, რომელიც წერს: „დიდი ხანია, ველოდით სასპორტო გაზეთს და აი, დღეს გაზაფხულის მერცხალივით „ლელო“ გვეწვია. სახელწოდება კარგია, წამოწყება კი – უკეთესი“. როგორც ვხედავთ, ბატონი ნიკოც იყენებს მართებულ ფორმას – სასპორტო გაზეთი, თუმცა მომდევნო წლებში „სპორტული“ ბატონდება, რაც (როგორც უკვე ითქვა) რუსული ენის ზეგავლენის შედეგია.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ერთტომეული, 1986) სიტყვა სპორტული ახსნილია – როგორც სპორტთან დაკავშირებული, სპორტისათვის განკუთვნილი, სპორტის ხასიათისა, ს. მოედანი, ს. ინვენტარი, ს. სეზონი (გვ. 412). ვფიქრობთ, ამ განმარტებამ უზიდავს ქართულ პრესაში სპორტული ჟურნალისტიკის მსგავსი ტერმინების დამკვიდრებას.

ამდენად, მართლწერისა და მართლწარმოთქმის მართებულობის თვალსაზრისით, მიგვაჩნია, რომ უნდა ვთქვათ და ვწეროთ სპორტის ჟურნალისტი, სპორტის კომენტატორი, სპორტის ტერმინოლოგია, სპორტის ჟურნალისტიკა, სპორტის მედიცინა, სპორტის ფილოსოფია, სპორტის ფსიქოლოგია და სხვ.

რაც შეეხება სპორტულ სკოლას, სპორტულ კომპლექსს, სპორტულ მოედანს, სპორტულ ობიექტს... ამ და სხვა მსგავს სინტაგმებ-

ში, შინაარსიდან გამომდინარე, მართებული იქნებოდა მსაზღვრელად ფორმა **სასპორტოს** გამოყენება, რომელიც უფრო ზუსტად შეესაბამება (სპორტულისგან განსხვავებით) გამოსახატავ შინაარსს: **სასპორტო სკოლა**, ანუ სპორტისთვის განკუთვნილი სკოლა (უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ქართულ მედიასივრცეში მეტწილად ეს ფორმა მკვიდრდება), **სასპორტო კომპლექსი**, **სასპორტო მოედანი**, **სასპორტო ობიექტი**, **სასპორტო მედიაკომუნიკაცია...**

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ წლების წინათ ამბობდნენ და იწერებოდა **მუსიკალური სკოლა**, ახლა კი მართებულად იყენებენ ტერმინს – **სამუსიკო სკოლა**. ასევე რუსულის გავლენით ვწერდით და ვამბობდით – **ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი**, **ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი**. ამჟამად კი გვაქვს მართებული ფორმები – **ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**, **ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი** და ა. შ.

## ლიტერატურა

**გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელი“** (1934 – 1936 წ.წ.), თბილისი.

**გაზეთი „ლელო“**, 1949, თბილისი.

**თოფურია, გიგინეიშვილი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**, ერთტომეული, 1986, თბილისი.

**ჭაბაშვილი 1964** – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Vazha Danelia

## **On the Orthography of Some Terms Related to Sports in Georgian**

### Summary

In the Georgian mass media the following terms are attested: *sportuli škola* “sports school”, *sportuli klubi* “sports club”, *sportuli kompleksi* “sports facility”, *sportuli moedani* “athletic field”, *sportuli žurnalisti* “sports journalist”, *sportuli komentatori* “sports commentator”, *sportuli žurnalistika* “sports journalism”, *sportuli terminologia* “sports terminology”, *sportuli medicina* “sports medicine”, etc. It can be surely said that the terms are obviously Russian calques (спортивная школа, спортивный журналист, спортивный комментатор, спортивная журналистика, спортивная терминология, спортивная медицина, etc.) and we think that it is inappropriate to use them in the Georgian language in this form.

In these types of syntagms, depending on the content, it would be appropriate to use the form *sasporto* as a modifier that more accurately expresses the meaning (unlike *sportuli*), e.g. *sasporto škola* (fortunately, in the Georgian media space this form has become popular lately), *sasporto kompleksi*, *sasporto moedani*, *sasporto obiekti*, *sasporto mediakomunikacia*, etc.